



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №8

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 3 სექტემბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს წ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |   |
|----------------------|---|
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                         |
| დimitრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                   |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;           |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნერიმან ცინცაძე      | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;          |
| ანზორ დევაძე         | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;                        |

- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

- თამაზ სალუქვაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ლაშა სირაბიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;

## სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 2 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე. საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ წინადადება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

## დღის წესრიგი:

საკითხი 1. „საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

**საკითხი 2.** „საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე მიესალმა კოლეგებს და საკრებულოს რეგლამენტის 53-ე მუხლის თანახმად ტრიბუნის გამოყენება მოითხოვა განცხადების გასაკეთებლად. მან აღნიშნა, რომ 2014 წლიდან დღემდე არის „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი, 2014, 2016 და 2017 წელში პარტიის სახელით სამჯერ კენჭი იყარა როგორც მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატმა აჭარის უმაღლეს საბჭოსა და ბათუმის საკრებულოში, რაც იშვიათად ხდება პოლიტიკურ მიმდინარეობაში. სამწუხაროდ, პარტიის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაში მუდმივი ქაოსი, განუკითხაობა და რთული ვითარება შეიქმნა, დიდი ხნის განმავლობაში პარტიაში ითხოვდა ბიუროს მოწვევას რიგი საკითხების განსახილველად, მაგრამ ვერ მიაღწია. ბიურო არის პარტიის აღმასრულებელი ორგანო. აღნიშნულიდან გამომდინარე გადაწყვიტა პარტიის დატოვება. რაც შეეხება მნიშვნელოვან ადგილებზე განთავსებული ბანერის საკითხს, ეს არის მისთვის მიუღებელი და ასევე მისი კოლეგებისთვისაც. კარგი იქნებოდა რჩევა-დარიგებისთვის მისთვის ეკითხათ, დიდი ხნის წინ ჩვენმა მამულიშვილებმა აჭარა-დედა საქართველო დაუბრუნეს სიცოცხლის ფასად და დღეს ის არის განუყოფელი ნაწილი და ის არ არის ვინმეს გარემოცვის ქვეშ, რომ მას სჭირდებოდეს დახსნა. გარდა ამისა არის მომსწრე ერთ-ერთი მამულიშვილისა, რომლის თავი დამარხულია ქოჩახში, სხეული კი შეწირულია ამ მოვლენებთან დაკავშირებით. არჩილ მამულაძე არასდროს არ ყოფილა მოღალატე, ეს არ არის დაკავშირებული რომელიმე პარტიასთან თანამშრომლობა, ის წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს. რაც შეეხება განცხადებებს, საშიშია არ მიიღოთ კლასტერი ე.წ. სამარშრუტო ტაქსებიდან. თხოვნით მიმართა, რომ რეგულაციებთან ერთად დააყენოთ იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, ვინც დღემდე ვერ შეძლო მისი აღმოფხვრა.

**საკრებულოს წევრი-მირდატ ქამადაძე** არჩილ მამულაძის გადაწყვეტილებას მიესალმება, ბავშვობიდან ის მისდამი პატივისცემას იმსახურებს და დღეს პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო - პარტიის დატოვება, რომელშიც არ უნდა ყოფილიყო იმ ქმედებების გამო, რასაც ეს პარტია ახორციელებს. აჭარაში მცხოვრები

თითოეული მოქალაქის შეურაცხყოფად მიაჩნია ის განცხადება, რაც ბანერებზე იყო გამოკრული პატრიოტთა ალიანსის მხრიდან, თუმცა ამ ფაქტებისა და მოვლენების უკან დგას პარტია „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი, რადგან ცალკე აღებული პოლიტიკაში ირმა ინაშვილი არაფერს არ წარმოადგენს და მის უკან დგას ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ფარულ ზრახვებს ახორციელებს. 31 ოქტომბერს დესტრუქციული ძალების არსებობა უნდა დასრულდეს, რადგან ხალხი ამას არ იმსახურებს.

**საკრებულოს წევრი-დიმიტრი ჭიჭიანი** მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს და მირდატ ქამადაძეს გამოეხმაურა, რომ ის 2014 წლიდან შეუერთდა პარტიას, ყველამ იცის რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა როგორ მუშაობდა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, რომ პარტია არ დარჩენილიყო მარტო საქართველოს პარლამენტში. აღნიშნა, რომ პარტიას აქვს მსგავსი პრაქტიკა და მაქსიმუმს აკეთებდა, რომ შეექმნათ ფსევდოდემოკრატია ქვეყანაში. გამომდინარე იქედან, რომ მაშინდელი ოპოზიციური სპექტრი საქართველოს პარლამენტში ბოიკოტის რეჟიმში იყო და არ შედიოდა.

**საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე** მიესალმა და აღნიშნა, რომ არჩილ მამულაძე არის ღირსეული პატრიოტი, წესიერი, რომელსაც ჩვენი რეგიონისთვის ბევრი რამ აქვს გაკეთებული. გამომდინარე აქედან პარტია „პატრიოტთა ალიანსში“ მისი ადგილი არ არის. „პატრიოტთა ალიანსის“ ხელმძღვანელები არიან საბჭოთა კავშირში ჩარჩენილები და შეურაცხყოფელი იყო ოკუპირებულ რეგიონად მოხსენიება.

**საკრებულოს წევრი-ლევან ანთაძე** მიესალმა და მოუწოდა პარტია „ქართული ოცნებიდან“ კოლეგებს დატოვონ ე.წ. რუსული ოცნება. ბათუმში არის სერიოზული პრობლემა კორონავირუსის აფეთქებასთან დაკავშირებით და ეს არის საქართველოს მთავრობის და სტომატოლოგი მინისტრის ბრალი არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო. ბათუმის მერიას კონცერტების ჩატარებასთან დაკავშირებით პასუხიმგებლობისკენ მოუწოდა კორონავირუსის გავრცელებასთან მიმართებაში. ქუჩის დეზინფექცია არაფრის მომცემი არაა. მან მოუწოდა პიარის გაკეთებისგან თავის შეკავება.

**საკრებულოს წევრი-ნატალია ზოიძემ** გააკეთა მოსახლეობისთვის განცხადება, რომ ტელეგადაცემაში მიწვეული იყო ლევან ანთაძე, რომელმაც ობიექტური შეფასება მისცა მთავრობის ადეკვატურ საქმეებს, რომელიც გამიხარდა და აღნიშნა, რომ მიღწეული იქნა შეთანხმებას, რაზედაც მან უფროსებისგან საყვედური მიიღო და უკვე რამდენჯერმე ესმის მცდელობა, რომ მთავრობა დააკნინოს. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ არის ერთადერთი პარტია, რომელიც არ თამაშობს, არ ქმნის სატელიტ პარტიებს, ცდილობს ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკური კულტურა შეცვალოს ამ ქვეყანაში. თუ შეცდომები გზადაგზა არის, ეს იმის ბრალია, რომ სამწუხაროდ ჩვენი მოსახლეობა იმდენად ჰყავდათ ცუდი პოლიტიკური მაგალითებით, მემკვიდრეობით, კულტურით.

**საკრებულოს წევრი- დავით მახარაძე** მიესალმა და აღნიშნა, რომ კორონავირუსი მთელ მსოფლიოშია, მაგრამ საქართველომ პირველ ტალღას კარგად გაართვა თავი. მეორე ტალღაც კარგად დასრულდება. ხელისუფლებამ შემოიღო უფასო ტესტირება,

რომელიც ყველამ უნდა გაიაროს. მან აღნიშნა, რომ ბულვარის ტერიტორიაზე ელექტრომობილებზე არ კონტროლდება სიჩქარის რეგულაციები. რუსთაველის ქუჩაზე ბულვარში გადასასვლელზე არ არის გადასასვლელი ზებრა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1. „საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ განკარგულების მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალისა და ზონების განსაზღვრა, რომლებზედაც/სადაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, ასევე სტენდებისათვის ადგილების განსაზღვრა სააგიტაციო მასალის გასაკრავად. აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში განთავსება/გაკვრა. გარდა წინამდებარე განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობებისა, აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა საგზაო ნიშანზე;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე თამარ მეფის გამზირზე, ბაქოს ქუჩაზე, იაკობ გოგებაშვილის ქუჩაზე, შოთა რუსთაველის ქუჩაზე, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩაზე, შეიხ ნახაიან მაბარაქ ალ ნახაიანის ხეივანში და მის ორივე მხარეს არსებულ ქუჩაზე, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე, გიორგი ანწუხელიძის ქუჩაზე და ბათუმის ზღვისპირა ბულვარის (ძველი და ახალი ბულვარის ტერიტორია) ტერიტორიაზე არსებულ ყველა გარე განათების ბოძზე;

გ) შავშეთისა და ბაქოს ქუჩების გადაკვეთიდან იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩის კვეთასთან არსებულ წრიულამდე ბაქოს ქუჩის ორივე მხარეს, იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩის კვეთასთან არსებული წრიულიდან ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩის კვეთამდე ილია ჭავჭავაძის ქუჩის ლუწ მხარეს, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩების კვეთიდან ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩისა და მისი გაგრძელების წარმოსახვითი ხაზის გავლით შავი ზღვის სანაპირომდე ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩის კენტ მხარეს აღნიშნული ადგილიდან ზღვის სანაპიროს გავლით შავშეთის ქუჩის გაგრძელების წარმოსახვით ხაზთან გადაკვეთამდე ზღვის სანაპიროს ჩათვლით და აღნიშნული ადგილიდან წარმოსახვითი ხაზის შავშეთის ქუჩასთან შეერთებამდე მოქცეულ ტერიტორიულ ზონაში არსებულ ყველა შენობა-ნაგებობაზე, გარდა სამშენებლო ტერიტორიების შემოსაზღვრული დროებითი ღობეებისა, სარეკლამო ბილბორდებისა, აგრეთვე გარდა საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის, საარჩევნო პერიოდში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით განთავსებული დროებითი ნაგებობებისა და იმ შენობა-ნაგებობებისა, სადაც განთავსებულია საარჩევნო სუბიექტების ოფისები (ტექსტური ნაწილი);

დ) ბათუმის ზღვისპირა ბულვარის იმ ტერიტორიაზე (ძველი და ახალი ბულვარის ტერიტორია) არსებულ ყველა შენობა-ნაგებობაზე, რომელიც არ არის მოქცეული ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიულ ზონაში (ტექსტური ნაწილი).

განკარგულების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვები არ ვრცელდება ამ პუნქტით გათვალისწინებულ შენობა-ნაგებობების ფანჯრების, ვიტრაჟებისა და სხვა ღობეების მინების შიდა მხრიდან პლაკატების განთავსებაზე.

წინამდებარე განკარგულების მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტერიტორიულ ზონაში განისაზღვროს ადგილები, სადაც საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად განთავსდება სტენდები:

ა) ევროპის მოედანი;

ბ) საოცრებათა მოედნის მიმდებარე ტერიტორია;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ (მის: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) არსებული სკვერი;

დ) ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში, ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერი;

ე) ახალ ბულვარში რესტორან „ჭარული სახლი“-სა და რესტორან „კომპი“-ს მიმდებარე ტერიტორია;

ვ) ახალ ბულვარში აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორია;

ზ) ახალ ბულვარში ამფითეატრის მიმდებარე ტერიტორია.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი - რაულ თვართქილაძემ დასვა შეკითხვა განკარგულების მიღებიდან რა პერიოდში შეეძლება პლაკატების გაკვრა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც აკრძალული არ არის, ფაქტიურად უკვე არჩევნების დანიშვნის დღიდან უფლება აქვთ განათავსონ საარჩევნო პლაკატები და სააგიტაციო მასალები. რაც შეეხება აკრძალულ ზონაში საარჩევნო სტენდების განთავსებას, როგორც კი

საკრებულო მიიღებს განკარგულებას მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, კერძოდ მუნიციპალური სერვისების სააგენტო უზრუნველყოფს განათავსოს ლოკაციებზე საარჩევნო სტენდები.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ დასაზუსტებლად აღნიშნა, რომ 7 ლოკაციაზე გამოყოფილი იქნება სტენდების ადგილი, ყველა საარჩევნო სუბიექტს უსურვებს დემოკრატიულ გარემოში ყველა სტანდარტის დაცვით წინასაარჩევნო კამპანიას.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -1(ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 2. „საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გამოყონ ის შენობა-ნაგებობა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და ამ მიზნით საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაუთმონ იგი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნული ნორმის შესრულების მიზნით, განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალიტეტის



საკუთრებაში არსებული შენობის გამოყოფა (განსაზღვრა) საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16  
არ ესწრებოდა: 1 (ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს საქმისწარმოებისა და  
ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,  
სხდომის მდივანი

მზევინარ წულუკიძე



